

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების ს/ს ინსტიტუტი
და
დასავლეთევროპული ენებისა და ლიტერატურის ს/ს ინსტიტუტის
რომანული ფილოლოგიის კათედრა

**მთარგმნელის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი
სტუდენტთა X სამეცნიერო კონფერენცია**

**„თარგმანისა და ლიტერატურულ
ურთიერთობათა
აქტუალური პრობლემები“**

*კონფერენცია ეძღვნება დიგეჩაგოხსა და მთაჩგმნედს,
პხოფესოხ გიოხგი (ჟოხჟ) ეკიზაშვიდს*

თეზისები

5-6 დეკემბერი

თბილისი

2022

საორგანიზაციო კომიტეტი:

პროფესორი ნანა გაფრინდაშვილი

პროფესორი ბელა საბეიშვილი

ასოც. პროფესორი ეკატერინე ნავროზაშვილი

ასოც. პროფესორი ნინო წერეთელი

დოქტორანტი ირინა ნოზაძე

რეგლამენტი:

მოსხენება სხდომაზე – 20 წუთი

დისკუსია – 5 წუთი

სამუშაო ენა – ქართული

5 დეკემბერი

მეცხრამეტე საუკუნის გერმანულ სწავლულთა
მოგზაურობა კავკასიაში – თარგმანი
და თარგმანის ანალიზი

თეკლა კაპანაძე

მაგისტრი

ხელმძღვანელი: ასოციირებული პროფესორი
მაჩინა ანდრეაშვილი

საკვანძო სიტყვები: მოგზაურობა, კავკასია,
თარგმანი და თარგმანის ანალიზი

ჩემ მიერ ნათარგმნ მასალას შინაგანად მაინც ორმაგი სათაურის სახით წარმოვიდგენ: „მეცხრამეტე საუკუნის გერმანელი სწავლულების მოგზაურობა კავკასიაში, ანუ საკუთარი ქვეყნის თავიდან შეცნობა“, რადგან ის არის, ფაქტობრივად, არა მხოლოდ სათარგმნი მასალის უბრალო რეცეფცია, არამედ, იმავდროულად გარდატეხა საკუთარ თავში, ჩემს „მე“-ში.

კვლევის საგანი აჩის სათარგმნად შერჩეული მასალა, კერძოდ წიგნი სათაურით “Reisen im Kaukasus” („მოგზაურობა კავკასიაში“)¹, ის დასტამბულია 1987 წელს გდრ-ის დროინდელ ლაიპციგში და ამასობაში უკვე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად არის ქცეული. წიგნი შეიცავს ამონარიდებს ოცი გერმანელი მოგზაურის – ისტორიოგრაფების, ბუნებისმეტყველების, გეოლოგების, ეთნოგრაფების, ეთნოლოგების, გეოგრაფების, კარტოგრაფებისა და ა. შ. – მოხსენებითი ბარათებიდან, ჩანაწერებიდან, დღიურებიდან, პირადი წერილებიდან. ქართველ მკითხველში მძლავრი ემოციის აღმძვრელია ამალღებული ეპითეტებით ესოდენ გაჯერებული ზემოხსენებული ტექსტები. წიგნი იმითაც არის საყურადღებო, რომ მასში წარმოდგენილი ავტორები – ერთმანეთის თანამედროვე, ხშირად ერთი და იმავე სკოლის აღზრდილნი და პირადი ნაცნობებიც კი – საკუთარი პროფესიული პერსპექტივიდან ინდივიდუალურად ხედავენ და აფასებენ ერთსა და იმავე ფენომენს. ნებისმიერი ინტერესის მქონე მკითხველს შეუძლია მიაკვლიოს წიგნში მისთვის სასურველ პასაჟს, სადაც ერთმანეთს ენაცვლება ველური ბუნების აღწერის სურათები და არქეოლოგიური კვლევა-ძიებანი, სიუჟეტები კავკასიის ხალხების მითოსიდან და კავკასიონის

¹ Breuste, Jürgen / Malich, Burkhard (Hgg.) (1987). Reisen im Kaukasus. Berichten aus dem 19. Jahrhundert. Leipzig: Koehler & Amelang

ალპური მდებარეობის გაცოცხლებული სურათები, სარწმუნოების მიღების აქტი და ვინმე რუსი ოფიცრის ხელით პიროვნების (ერთი საწყალი მთიულის) მიწასთან გასწორების ფაქტი. წიგნში ასახულია ე. წ. რუსულ-გერმანული „კეთილგანწყობა“, როდესაც ევროპაში განათლებამიღებული გერმანელი მკვლევრები იმავდროულად ირიცხებოდნენ პეტერბურგის რუსული საიმპერიო აკადემიის წევრებად და მეფის მხარდაჭერაც ჰქონდათ, ემოგზაურათ კავკასიაში; მეორე მხრივ, გერმანიის ინტელექტუალთა ოპოზიციური წრე, რომელიც ეჭვის თვალით უყურებდა რუსულ-გერმანულ „მეგობრობას“ და ყოველ მოგზაურში რუსეთის აგენტს ხედავდა. ამის ფონზე განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს ძიება იმისა, თუ რა სახის დამოკიდებულება ჰქონდათ ევროპიდან კავკასიაში საკვლევად წამოსულ განსწავლულ მოგზაურებსა და მკვლევრებს ჩვენი ქვეყნის კულტურასთან, სარწმუნოებასთან, საზოგადოებრივ ყოფასთან; მითუმეტეს, რომ ზოგიერთი მათგანი მოვლენებს ისტორიის ქრილშიც განიხილავს (ვგულისხმობ არტურ ლაისტის ჩანაწერებს) და რეალისტურად აფასებს ქვეყნის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს; ამ მხრივ კი, მართლაც მნიშვნელოვანია, წარუდგინო თანამედროვე საზოგადოებას იმ პერიოდის მოღვაწეთა თვალთ დახახული კავკასია და მათი ინტერესი მისი პროვინციების გაცნობისადმი.

ჩემი მიზანი იყო, მკითხველისთვის შეძლებისდაგვარად სრულყოფილი სურათი მეჩვენებინა შერჩეული თემის ირგვლივ, შესაბამისად წარმომეჩინა კულტურული ინფორმაცია, ისტორიული რეალობის ქეშმარიტება შემეფასებინა თანამედროვეობის გადასახედიდან, რამდენად გამოიკვეთა იმ პერიოდის კავკასიის ვითარება სტრატეგიული კუთხით, ბუნების აღწერის თვალსაზრისით, აქ მცხოვრები ხალხების დახასიათების კუთხით.

ეს კრებულის ტექსტების თარგმნის პირველი მცდელობაა და შესაძლოა, შეიცავდეს გერმანულის არმცოდნე ბევრი ქართველი მეცნიერ-სპეციალისტისთვისაც კი სრულიად უცნობ ინფორმაციას, რომ აღარაფერი ვთქვა არადაარგობრივი განათლების მქონე რიგით ქართველზე.

ევგენი ზამიატინის რომანის „ჩვენ“
იდეურ-მხატვრული ასპექტები

ირინა ნოზაძე

დოქტორანტი

ხელმძღვანელი: ასოციირებული პროფესორი
ეკატერინე ნავროზაშვიდი

საკვანძო სიტყვები: ევგენი ზამიატინი, „ჩვენ“,
ანტიუტოპია

სამეცნიერო ლიტერატურაში ერთხმადაა აღიარებული, რომ XX საუკუნის დიდმა რუსმა მწერალმა, კრიტიკოსმა და პუბლიცისტმა – ევგენი ზამიატინმა სათავე დაუდო აღნიშნული საუკუნის ანტიუტოპიური ლიტერატურის განვითარებას. ეჭვგარეშეა ის ფაქტი, რომ რომანის „ჩვენ“ გამოჩენამ ბიძგი მისცა ახალი ჟანრის – ანტიუტოპიური რომანის დამკვიდრების პროცესს. ზამიატინი დარწმუნებული იყო, რომ ნამდვილ ლიტერატურას მორჩილი მოხელეები არ ქმნიდნენ, ამ საქმის საკუთარ თავზე აღება მხოლოდ შეშლილებს, ერეტიკოსებს, მეამბოხეებსა და სკეპტიკოსებს ხელენიფებოდათ. მწერალი, რომელსაც საზოგადოების გაჩუმება თვითგანადგურების საშუალებად მიაჩნდა, შორს იდგა მორჩილი მოხელეობისგან და შეუძლებელი იყო, მას არსებული ვითარებისადმი შემგუებლური ბუნება გამოეფლინა; ამიტომ, გასაკვირი არაა, რომ „ჩვენ“ გაბედული ნაწარმოებია. საინტერესოა, რომ ჯორჯ ორუელი საკუთარ თავს ზამიატინის რომანის მემკვიდრედ თვლიდა.

ევგენი ზამიატინის „ჩვენ“ სოციალური ფანტასტიკის ერთ-ერთი ქვეჟანრის – ანტიუტოპიის საუკეთესო ნიმუშია. რომანში „ჩვენ“ მწერალი გროტესკულად წარმოგვიდგენს დედამიწაზე არსებული სამოთხის ფანტასტიკურ რეალობას. ფანტასტიკა და გროტესკი, ბიბლიური და ისტორიულ-კულტურული მითები ავტორს საშუალებას აძლევდა ყოველდღიურ რეალობაზე ამალღებულებიყო და ყოფიერების მარადიულ შეკითხვებზე გაეცა პასუხი.

როგორც მკვლევრები შენიშნავენ, რომანში ზამიატინი პიროვნულობის დაკარგვას აპროტესტებს. მწერალი წარმოგვიდგენს D-503-ის – ტიპიური ინტელიგენტის – ორად გახლეჩილ სულს, რომელიც ვერ ეწინააღმდეგება სახელმწიფო სისტემას. ზამიატინი მკითხველს არწმუნებს, რომ ადამიანი უძლურია წინ აღუდგეს

ტოტალიტარულ რეჟიმს. რომანის დრამატიზმს განაპირობებს არა მხოლოდ მთავარი გმირის ბედი, არამედ, მთელი საზოგადოება.

კრიტიკაში გამოთქმულია აზრი, რომ D-503-ის სახით ზამიატინმა გვიჩვენა რუსული ინტელიგენციის სისუსტე, თუმცა მოცემულ მოსაზრებას რიგ შემთხვევაში ვერ დავეთანხმებით. ტოტალიტარული სისტემა ანადგურებდა ადამიანის თვითშეფასების გრძნობას და ბევრს აიძულებდა, მას დამორჩილებოდა. ამავდროულად, მწერალი ცალსახად აღნიშნავს, რომ ადამიანში ადამიანურობის ბოლომდე ჩაკვლა შეუძლებელია, სჯერა ადამიანის გონების და სწორედ მას აძლევს სამყაროს გარდაქმნის უფლებას.

როგორც ცნობილია, ევგ. ზამიატინის მიერ რომანში აღნიშნული ცალკეული მოვლენა მომავალში ახდა, გარკვეული საკითხისადმი მწერლის დამოკიდებულება კი დღესაც იქცევს ყურადღებას და აქტუალობას არ კარგავს.

ალენ გინსბერგის ლექსის „სუპერმარკეტი
კალიფორნიაში“ ქართული თარგმანის
ანალიზი

მერი სამაკაშვილი

დოქტორანტი

ხელმძღვანელები: ასოციირებული პროფესორი
ეკატერინე ნავროზაშვილი,
ასოციირებული პროფესორი
ივანა გვედესიანი

საკვანძო სიტყვები: ქართული თარგმანი, ბიტ თაობა,
ალენ გინსბერგი

მოსხენებაში განვიხილავთ ალენ გინზბერგის ლექსის „სუპერმარკეტი კალიფორნიაში“ ქართული თარგმანის ანალიზს. ალენ გინზბერგმა ლექსი 1955 წელს დაწერა. იგი ბიტ-თაობის წარმომადგენელი ამერიკელი პოეტია. ბიტ მოძრაობა მე-20 საუკუნის ამერიკული სოციალური და ლიტერატურული მიმდინარეობაა.

სავარაუდოა, რომ ლექსის ლირიკული გმირი თავად ავტორია. „სუპერმარკეტი კალიფორნიაში“ მოგვითხრობს ლირიკული გმირის „მოგზაურობის“ შესახებ კალიფორნიის სუპერმარკეტში. იგი სავსეა ნაირგვარი პროდუქტითა და მის შესაძენად მისული ოჯახებით, რომლებიც აქტიურად არიან ჩართულნი კონსუმერისტულ ცხოვრებაში. მთავარი გმირი წარმოიდგენს, რომ მას მე-19 საუკუნის ცნობილი პოეტი უოლტ უიტმენი მიუძღვის სექციებს შორის და ისინი საფასურის გადახდის გარეშე აგემოვნებენ სხვადასხვა პროდუქტს, რის გამოც მათ სუპერმარკეტის კონსულტანტი მიჰყვება უკან. შემდეგ მოქმედება გარეთ ხდება, სადაც ქუჩები უკვე დაცარიელებული და ჩაბნელებულია და ამ კონფორმისტულ ამერიკაში მხოლოდ ეს ორნი დახეტიალობენ. ამაოების განცდა ლექსის დასასრულს კიდევ უფრო მძაფრდება, რადგან წინამძღვარი ისევ ქვესკნელშია, ლირიკული გმირი კი სუპერმარკეტიდან სახლში ბრუნდება და არც ერთი მათგანი არ არის სანატრელ ამერიკაში.

ერთი შეხედვით მარტივი შინაარსის მქონე ლექსი საკმაოდ ღრმაა და ალენ გინზბერგი მასში რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხესაუბრობს. იგი უპირისპირდება დაგმობს საზოგადოებაში გაბატონებულ კონსუმერიზმსა და კონფორმიზმს. პოეტი არაპირდაპირ საუბრობს ჰომოსექსუალიზმსა და არატრადიციულ სექსუალურ ურთიერთობებზე, რაც იმ პერიოდისთვის აკრძალულად ითვლებოდა და ხაზს უსვამს საზოგადოებისათვის ლიტერატურის

მნიშვნელობას, რომლისთვისაც პრიორიტეტული სხვა ღირებულებები გამხდარა. ლექსი „სუპერმარკეტი კალიფორნიაში“ არის ვერლიბრი. სტროფები და სტრიქონები სხვადასხვა ზომისაა. ალენ გინზბერგი უხვად იყენებს სტილისტურ ხერხებს. „სუპერმარკეტი კალიფორნიაში“ ქართულად ნათარგმნია ქეთი თუთბერიძის მიერ. მოხსენებაში განვიხილავთ როგორ ახერხებს ქართველი მთარგმნელი ლექსის ფორმისა და შინაარსის, ძირითადი მახასიათებლებისა და სტილისტური ხერხების შენარჩუნებას თავის თარგმანში და განსაკუთრებით რთული სიტყვებისა და ფრაზების თარგმნას. იგი სიტყვასიტყვით არ თარგმნის დედანს, რადგან ცდილობს, ლექსს ქართული ენისათვის ბუნებრივი ჟღერადობა შეუნარჩუნოს.

„თვალს ამოგჩიჩენი“ – ანუ უოლტ უიტმენის თავისუფალი სუნთქვა

ნიკოლოზ შაფაქიძე

საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი

*ხელმძღვანელი: ასოციირებული პროფესორი
ნინო წეხეთელი*

საკვანძო სიტყვები: უოლტ უიტმენი, „თვალს ამოგჩიჩენი“,
ამერიკული ლიტერატურის თარგმანის პრობლემა

მეოცე საუკუნის ორმოცდაათიან წლებში ამერიკულ პოეზიაში ფორმათა ძიების პრობლემა განსაკუთრებით აქტუალური ხდება. აღსარებითი პოეზიის აქტუალიზებამ, რაც გულისხმობს პირადი გამოცდილების როლის ზრდას პოეზიაში, გამოიწვია საუკუნეებით გამყარებული პოეტური ფორმების რყევა. ალენ გინზბერგი აღნიშნული პროცესის აქტუალიზაციას უოლტ უიტმენს უკავშირებს, ხოლო უიტმენის კონცეფციას აძლიერებს უილიამ კარლოს უილიამსის პოეტურ მრწამსზე აპელირებით, რაც წარმოდგენილია გინზბერგის „პეკინურ იმპროვიზაციაში“.

ჩვენი დღევანდელი განხილვის საგანს წარმოადგენს პოეტურ საზომთა რღვევა მეოცე საუკუნის ამერიკულ შემოქმედებაში და არატრადიციულ საზომთა ქართულ პოეზიასთან მორგების პრობლემა, აქვს თუ არა მთარგმნელს „თავისუფლად სუნთქვის“ საშუალება.

მითიური პერსონაჟების სახელების თარგმნის სპეციფიკა ნართების ეპოსში

ნინა ზიგერი

საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი

*ხელმძღვანელი: ასისტენტ პროფესორი
თამაზ გედაშვილი*

საკვანძო სიტყვები: მითიური პერსონაჟების სახელები,
თარგმნის სპეციფიკა, ნართების ეპოსი

ნართების თქმულებები საუკუნეთა მიღმა შექმნილი ხალხური საუნჯეა. ის მრავალ ენაზეა თარგმნილი და მრავალმხრივ იცეცეს მკვლევართა ყურადღებას. ამ თქმულებების მეშვეობით მრავალ მითიურ პერსონაჟს ვეცნობით. ისინი ერთმანეთს ჰგვანან და განსხვავდებიან კიდევ. ბევრი მათგანი ნართების მეგობარია, მათი დამცველია. ზოგიერთი კი მათ წინააღმდეგ იბრძვის და მიზნად მათი განადგურება დაუსახავს. ამ ეპოსში ბევრგან ვნახულობთ მათი შებრძოლების ისტორიას, ბატალურ სცენებს. გმირი, შეუდრეკელი ნართები, სახელოვნად იბრძვიან მათ წინააღმდეგ.

ჩვენი ნაშრომი მრავალ მითიურ პერსონაჟს გვაცნობს. ყურადღებას ვამახვილებთ გერმანულად თარგმნის დროს მათი სახელების სპეციფიკურ თარგმანზე. ასე მაგ.: ნართების მტრები, მათი მოწინააღმდეგეები, გვიმირები არიან. ოსურად ასეა განმარტებული: გვიმირები – დევების პერიოდში პირველი მაცხოვრებლები. ქართულად უფრო დაზუსტებულია მათი კრებითი სახელი – გვიმირები, – ქვეყნად პირველადმოვლენილი გოლიათები, ნართების მტრები; მათი პირველადმოვლინება ქვეყნიერებაზე ოსურშიც არის განმარტებული და ქართულშიც. ქართულ თარგმანში დამატებით მითითებულია, რომ ისინი ნართების მტრები არიან (რაც არაა მინიშნებული ოსურ ლექსიკონში). გერმანულ ენაზე თარგმნილ ნართების ეპოსს დართული აქვს სიტყვათა განმარტება, რომელშიც გვიმირების შესახებ ორივე მათი დამახასიათებელი ნიშან-თვისებაა აღნიშნული: die ersten Riesen die es auf der Welt gab, die Feinde der Narten – ქვეყნად პირველადმოვლენილი გიგანტები, ნართების მტრები. ლექსიკონი დართული აქვს ნართების ეპოსის ინგლისურ თარგმანსაც, რომელშიც გვიმირების განმარტება ქართულისა და გერმანულის ანალოგიურია: Primordial Giants, the rivals of the Narts – პირველყოფილი გიგანტები, ნართების მტრები.

ნაშრომში ასე სრულყოფილადაა განმარტებული მითოლოგიური არსებების სახელები სხვა შემთხვევაშიც, რაც მკითხველს უფრო ზუსტ წარმოდგენას უქმნის მათზე.

**ეკვივალენტობის პრობლემა ემილი
დიკინსონის ლექსის – „რადგან მე სიკვდილს
არ დავუცადე“ – ქართულ თარგმანში**

მეგი კაზეიშვილი

საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი

ხელმძღვანელი: ფილოლოგიის დოქტორი
ნინო ნასყიდაშვილი

საკვანძო სიტყვები: დიკინსონი, ეკვივალენტობა,
ქართული თარგმანი

მეცხრამეტე საუკუნის ამერიკელი რომანტიკოსი პოეტის, ემილი დიკინსონის ლექსი „რადგან მეს სიკვდილს არ დავუცადე“ სიკვდილის გარდაუვლობის შესწავლას, სიკვდილის ავტორისეულ განსაზღვრებას წარმოადგენს, სიკვდილი პერსონიფიცირებულია, აგებულია სიმბოლოთა მრავალფეროვნებასა და ლირიკული გმირის სულიერ მდგომარეობაზე, რომელიც ვერ ეგებება სიკვდილს, მაგრამ თავად მიდის მასთან. პოეტის მიზანიც სწორედ ეს იყო, შედეგად, მკითხველს უფრო მეტი შეკითხვა უჩნდება, ვიდრე პასუხი.

წინამდებარე კვლევა ეფუძნება დედანისა და თარგმანის ფორმისა და შინაარსის შედარების აქტუალურ და პრობლემურ საკითხებს. აღნიშნული ლექსი ქართულად თარგმნა დალი ინჟირველმა. მთარგმნელი მაქსიმალურად იცავს ორიგინალის სტრუქტურას, ფორმისა და შინაარსის ერთიანობას, თუმცა თარგმანში ვხვდებით მათი დარღვევის ფაქტებსაც.

თარგმანში დიდი ყურადღება ექცევა ლექსთწყობის საკითხებს, მართებულადაა გამოყენებული იამბური საზომის შესაბამისი ქართული ათმარცვლიანი საზომი, ასევე, შეძლებისდაგვარადაა გადმოცემული ისეთი მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები, როგორებიცაა სიმბოლო, ალეგორია, შედარება, მეტაფორა და სხვა.

მიუხედავად მცირედი შინაარსობრივი უზუსტობისა, თარგმანი ნამდვილად გადმოგვცემს ორიგინალის განწყობას, ხასიათს, გვაძლევს დინამიკურ ეკვივალენტობას და მაქსიმალურად მიახლოებულია პოეტური თარგმანის პრინციპებთან.

**სილვია პლატის ლექსის „ცხვარი
ნისლში“ ორიგინალისა და თარგმანის
შევირისპირებითი ანალიზი**

თაკო ნასარია

საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი

ხელმძღვანედი: დოქტორი
იჩინა ნოზაძე

საკვანძო სიტყვები: სილვია პლატი, «Sheep in Fog»,
ზაალ ჭალაღონია

სილვია პლატი დაიბადა 1932 წელს, იგი გახლავთ ამერიკელი პოეტი და მწერალი, რომლის შემოქმედება, ძირითადად, ავტობიოგრაფიული ხასიათისაა. მის ნამუშევრებში დეპრესიის, იზოლირებულობისა და მოსალოდნელი სიკვდილის გრძნობებია ჩაქსოვილი. 1963 წელს პლატმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. იგი იყო პირველი პოეტი, რომელსაც გარდაცვალების შემდეგ მიენიჭა პულიცერის პრემია.

პლატის გარდაცვალების შემდეგ, მეუღლემ, ტედ ჰიუზიმ შეაგროვა მისი ლექსები და გამოსცა სათაურით „არიელი“. კრებულში შემავალი ტექსტები ხასიათდება დიდი სიმძაფრით და ღიად აღწერს ავტორის ფსიქიკურ გაუნონასწორებლობას. კრებულში გამოტოვებული იყო რამდენიმე ლექსი, რომელიც 2004 წელს ხელახლა გამოიცა; მათ შორისაა “Sheep in Fog”, რომელიც თვითმკვლელობამდე ერთი თვით ადრე დაიწერა, იგი ეხება ახალგაზრდა ქალბატონის დეპრესიის, უკმაყოფილებისა და უმწეობის განცდებს.

„ცხვარი ნისლში“ წარმოადგენს დაბნეულობისა და გაურკვევლობის ბურუსში დაკარგული ადამიანის მეტაფორას, პოეტი ეძებს მეგზურს, წინამძღოლს, რომელიც მას სწორ გზას უჩვენებს. ლექსი გამორჩეულია ვიზუალური გამოსახულებებისა და მეტაფორების გამოყენებით, პერსონიფიკაციის ენით.

ლექსის «Sheep in Fog» ქართული თარგმანი შემოგვთავაზა ზაალ ჯალალონიამ. სასოწარკვეთილებისა და თვითკრიტიკის იდეა, რომელიც ავტორს პირველივე ტაეპში შემოაქვს, იგრძნობა თარგმანშიც, თუმცა აქ გვხვდება მაგ.: ფორმა „მმწყემსავენ“, რომელიც დედანში არ დასტურდება და თავად მთარგმნელის ინტერპრეტაციას წარმოადგენს, რაც, ვფიქრობთ, მას სათაურიდან გამომდინარე უნდა გამოეყენებინა. ხაზგასასმელია ისიც, რომ

თარგმანში არ იკარგება დედნის შინაარსობრივი მხარე. თუმცა, რიგ შემთხვევაში ტექსტში მთარგმნელის ჩარევაც შეინიშნება.

სიღვია პლათის ლექსი «Sheep in Fog» თავიდან ბოლომდე მეტაფორაა. ზაალ ჯალაღონიას მიერ შესრულებული თარგმანი ახლოს დგას დედანთან, ძირითადი მეტაფორული გამოსახულებები ზუსტად არის გადმოტანილი, მიუხედავად იმისა, რომ სტრიქონების რაოდენობა განსხვავებულია და ზოგიერთ შემთხვევაში მთარგმნელის ინტერპრეტაცია იგრძნობა, საბოლოო ჯამში ლექსის მთლიანობა და ემოციური ელფერი შენარჩუნებულია.

მოხსენებაში დაწვრილებით იქნება წარმოდგენილი აღნიშნული ლექსის ორიგინალისა და თარგმანის შეპირისპირებითი ანალიზი.

6 დეკემბერი

**ირაკლი ჩარკვიანის რომანი – „მშვიდი ცურვა“,
როგორც ავტოფიქციური ნარატივი**

მარიამ გიორგაძე

საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი

ხელმძღვანელი: ასოციირებული პროფესორი
ეკატერინე ნახოზაშვილი

საკვანძო სიტყვები: ავტოფიქციური ნარატივი,
ირაკლი ჩარკვიანი, „მშვიდი ცურვა“

ირაკლი ჩარკვიანი 21-ე საუკუნის ყველასთვის კარგად ცნობილი მუსიკოსი და მწერალია, რომელიც 1961 წელს თბილისში დაიბადა. მან ქართველ საზოგადოებას თავი თამამი, თავისუფალი, „სისტემის“ წინააღმდეგ მიმართული მუსიკალური, პოეტური თუ პროზაული ნაწარმოებებით დაამახსოვრა. მისი სიმღერები დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი ერის ჰიმნადაც იქცა. მისი ცხოვრება-მოღვაწეობა ჯერ „რკინის ფარდის“ მარწხელებში ყოფნას, შემდგომ მისგან დახსნის მცდელობებს და საბოლოოდ – დამოუკიდებლობის მოპოვებას ემთხვევა. ყოველივე ეს კი ცხადად აისახა ი. ჩარკვიანის როგორც მუსიკალურ, ისე ლიტერატურულ ტექსტებში.

მოხსენებაში გავიხილავთ ირაკლი მეფე ჩარკვიანის, როგორც მწერალი საკუთარ თავს უწოდებს, რომანს – „მშვიდი ცურვა“, რომელიც ავტორის თქმით, არშემდგარი ტრილოგიის ნაწილია. ვისაუბრებთ ნაწარმოების ფორმისა და შინაარსის თავისებურებებზე ავტოფიქციასთან მიმართებით. ვიმსჯელებთ, საზოგადოდ, ავტოფიქციური ნარატივის მახასიათებლებზე.

ზემოხსენებული რომანი პოსტმოდერნიზმის ნიმუშია. მასში ამ მიმდინარეობისთვის დამახასიათებელი ისეთი ნიშნები ვლინდება, როგორებიცაა „სიუჟეტი სიუჟეტში“ – მწერალი პარალელურად ორ, რეალურ და ირეალურ, სამყაროს გადაშლის მკითხველის თვალწინ, ერთდროულად ნარატორად და პერსონაჟად გვევლინება. ავტოფიქციისთვის მახასიათებელი რეალურ-ბიოგრაფიული და გამონაგონი რომანში ორგანულად ერწყმის ერთმანეთს. მწერლის უშუალო წერის მანერა კი მკითხველს სიუჟეტის ქარგაში ითრევს და ნამდვილ თუ მწერლისეულ გმირებთან ერთად მიუძღვება „მშვიდ ცურვაში“.

ნაწარმოებში ნათლად აისახა უახლესი ქართული ისტორიის უმძიმესი პერიოდი. საბჭოთა სისტემის მსხვერპლნი არიან ირაკლი

ჩარკვიანის უახლოესი მეგობრები, ახლობლები. ნაწარმოებს ლაიტმოტივად გასდევს თვითმფრინავის თემა, რომელსაც ერთი მხრივ, ყველასთვის ცნობილი „თვითმფრინავის ბიჭების“ ისტორია, მეორე მხრივ კი, რომანის მთავარი გმირის, რუმის, როგორც მწერლის მთავარი ალტერ-ეგოს, მისი რეინკარნაციული პერსონაჟის, თავგადასავალი უკავშირდება.

„მშვიდი ცურვა“ მრავალფეროვან სიუჟეტსა და პერსონაჟებს სთავაზობს დაინტერესებულ მკითხველს. მოხსენებაში მწერლის მიერ წამოჭრილ ისეთ დიქტომიურ საკითხებს შევხებით, როგორებიცაა მისი რეალური და გამოგონილი პასაჟები, მთავარი გმირების გარდასახვის, რუმის რეინკარნაციის არსი. ვისაუბრებთ ი. ჩარკვიანის „ანტიუტოპიად“ წარმოსახული ირეალობის, როგორც „არასასურველი რეალობისგან“, გათავისუფლების საშუალებაზე და სხვ. მწერალი ნაწარმოებში წამოჭრის ისეთ მარადიულ საკითხებსაც, როგორებიცაა სიყვარული, მეგობრობა, მარტოსულობა, ბედისწერის როლი და სხვ. ამასთანავე, ამ პრობლემების თავისებურ, ორიგინალურ გადაჭრის გზასაც სთავაზობს მკითხველს და მის თანამოაზრედ აქცევს მთელ რომანში.

მოხსენებაში სწორედ ამ მრავალპლანიან სიუჟეტზე ვისაუბრებთ და განვიხილავთ, რამდენად შეიძლება მივიჩნიოთ, რომ ირაკლი მეფე ჩარკვიანის რომანი „მშვიდი ცურვა“ ავტოფიქციური ნარატივის ნიმუშია.

დასასრულ, მოხსენება რომანის მისტიკური შრეების უკეთ გააზრებისა და მწერლისეულ მრავალფეროვან სამყაროსთან მიახლოების ერთ-ერთი მცდელობაა, რომლის მიზანია, ირაკლი მეფე ჩარკვიანისა და რუმის, რეალური და ფიქციური ნარატივის, ნამდვილი და გამოგონილი პასაჟების დიქტომიების ამოხსნა.

„რეაქტიული კლუბის“ პოეზია

სოფიკო გიორგაძე

საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი

ხელმძღვანელი: ასოციირებული პროფესორი
ეკატერინე ნახოზაშვილი

საკვანძო სიტყვები: 90-იან წლების ქართული პოეზია,
ირაკლი ჩარკვიანი, კოტე ყუბანეიშვილი,
„რეაქტიული კლუბი“

„რეაქტიული კლუბი“ გასული საუკუნის 90-იან წლებში ჩამოყალიბებული კულტურული ჯგუფია, რომელიც ირაკლი ჩარკვიანი და კოტე ყუბანიეშვილის ერთიანი ძალებით შეიქმნა. მათი მუსიკა, პოეზია და შემოქმედებითი საღამოები ერთგვარი კულტურული რევოლუცია იყო მაშინდელ თბილისში. 1991 წლის 9 აპრილს საქართველო განთავისუფლდა საბჭოთა კავშირის მრავალწლიანი მარნუხებისგან. მიუხედავად თავისუფლებისა, საქართველოში ბევრი პრობლემა იყო, სამოქალაქო ომი, შიდა არეულობა – ეს ყველაფერი მძიმედ დააწვა ხალხს, თუმცა კულტურა არ მომკვდარა და ახალ ეტაპზე გადავიდა, ამაში დიდი წვლილი სწორედ რეაქტიულმა კლუბმა შეიტანა.

ირაკლი ჩარკვიანი და კოტე ყუბანიეშვილის ერთიანმა იდეამ სხვა ბევრი საზოგადო მოღვაწე, პოეტი და მხატვარიც დააინტერესა. მათ შორის იყო პაატა ქურდაძე, რომელიც წლებია საფრანგეთში მოღვაწეობს და ქართულ სიტყვას იქიდან ანიჭებს პოლიტიკურ აქტუალობას. რეაქტიული კლუბი ეს იყო „კოლექტიური შემოქმედება“, როგორც მას კოტე ყუბანიეშვილი უწოდებს.

მოსხენებაში განვიხილავთ ირაკლი ჩარკვიანი და კოტე ყუბანიეშვილის ბიოგრაფიებს, რათა უკეთ გავიზრდეთ ის კონტექსტი, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ამ კლუბის ჩამოყალიბებას.

ამასთანავე, ცალკე ყურადღება ექცევა რეაქტიული კლუბის პოეზიას, რომელშიც ვლინდება მათი დამოკიდებულება 90-იანი წლების საქართველოში შექმნილი პოლიტიკური ვითარების მიმართ; ასევე, პიესა „ლავრენტის დაბადებას“, რომელიც მრავალფეროვნად აღწერს საქართველოს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ სიდუხჭირეს.

დასკვნის სახით შეჯამებულია, რეაქტიული კლუბისა და მისი პოეზიის დიდი გავლენა საზოგადოების აზროვნებაზე.

„ჭინსების თაობა“

ნინო შიომღვიმელი

საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი

ხელმძღვანელი: ასოციირებული პროფესორი
ეკატერინე ნახოზაშვილი

საკვანძო სიტყვები: თაობა, ტოტალიტარიზმი,
დანაშაული

დათო ტურაშვილის „ჯინსების თაობა“ აღწერს რეალურ ამბავს. წიგნში მოთხრობელია მე-20 საუკუნის საქართველოს ამბავი, არსებული პრობლემები და საზოგადოების ოცნებები, იქნება ეს ახდენილი თუ აუხდენელი. არსებულმა ეპოქამ ჩვენს ერში ბევრი რამ შეცვალა, განაპირობა თუ დაამკვიდრა. 80-იანების დასაწყისში საბოლოოდ მივიღეთ დესტრუქციული ქვეყანა, სადაც ახალგაზრდა თაობის თავისუფლებისთვის მებრძოლი სული ვედარ ჩერდებოდა.

„ჯინსების თაობაში“ პერსონაჟებიც ისეთებად არიან, როგორებიც რეალურ ცხოვრებაში იყვნენ. ავტორი დეტალურად გადმოგვცემს ინფორმაციას ამ ახალგაზრდების შესახებ: რას აკეთებდნენ მანამდე, ვინ იყვნენ, რა სურდათ, რა მისწრაფებები გააჩნდათ, რატომ მივიდნენ დანაშაულის ჩადენამდე. მეგობრები: 6 ბიჭი და 1 გოგო იტაცებენ თვითმფრინავს, რათა რკინის ფარდა გაარღვიონ და იპოვონ თავისუფლება ამერიკაში. აღწერილია თვითმფრინავში მიმდინარე მოვლენები, სასამართლო პროცესი, ციხე და განაჩენი. ამბავი ვითარდება გეგა კობახიძისა და თინა ფეტვიაშვილის სასიყვარულო ისტორიის გარშემო, სიუჟეტის ბირთვია ეს ამბავი და მის ფონზე ნაჩვენებია სხვა ახალგაზრდების ცხოვრება.

არსებული ამბისა და წიგნის ფონზე ვეცდები ავხსნა შეიძლება თუ არა ვუნოდოთ ამ ახალგაზრდებს „ჯინსების თაობა“ და თუ კი, მაშინ რატომ „ჯინსების“. ჩემი კიდევ ერთი მიზანია, ვისაუბრო ხსენებული ახალგაზრდების დამნაშავეობასა და სასჯელზე, რამდენად მისაღები თუ სამართლიანი გახლდათ იგი.

ფრონტის ხაზზე მყოფი ადამიანის ტრაგედია
ჯაჯუ ჯორჯიკიას მოთხრობების მიხედვით

სოფიკო შავლაძე

საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი

ხელმძღვანელი: დოქტორი

ნიხნა ნოზაძე

საკვანძო სიტყვები: ჯაჯუ ჯორჯიკია, იმპრესიონიზმი,
ფრონტის ხაზი

ომი და მისი დაუნდობელი გავლენა მრავალმა მწერალმა აღწერა თავის შემოქმედებაში. ერთ-ერთი ასეთი ავტორი ჯაჭუკონსტანტინე ჯორჯიკიაა, რომელიც ქართული იმპრესიონიზმის სათავეში დგას.

იმპრესიონისტული ტენდენციები ქართულ ლიტერატურაში მეოცე საუკუნიდან იჩენს თავს და მალევე პოვებს გავრცელებას, რადგან მწერლებს უჩნდებათ სურვილი, ახალი დამოკიდებულებით, წამიერი შთაბეჭდილებით მიღებული გამოცდილება მკითხველს მარტივად გადასცენ. საგულისხმოა, რომ ქართული იმპრესიონიზმი ნაციონალურ ხასიათს ატარებს, ამასთან, თან ახლავს ავტორთა უკიდურესი ინდივიდუალობა.

მოხსენების ფარგლებში გარკვეული ადგილი ეთმობა ჯაჭუკონსტანტინე ჯორჯიკიას პიროვნებასა და მისი მინიატურების ზოგად მახასიათებლებზე საუბარს. აღსანიშნავია, რომ სიყვარული, ურთიერთგაგება, ღრმად ადამიანური განცდები იმპრესიონისტული მწერლის თითოეული ტექსტიდან გამოსჭვივის. მოხსენებაში გამოკვეთილია ბედი იმ ადამიანებისა, რომელთაც ფრონტის ხაზზე მოვალეობა და პასუხისმგებლობა იხმობთ, თუმცა მათი „რეალური ბრძოლა“ იწყება მაშინ, როდესაც ომიდან ბრუნდებიან ან ლაზარეთში ატარებენ სიცოცხლის უკანასკნელ დღეებს.

წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილი იქნება მინიატურები, რომელთაც ერთი აზრი აერთიანებთ – ხვედრი იმ ადამიანებისა, რომლებმაც ფრონტის ხაზზე დაკარგეს თავიანთი სახე, იმდენად გაუცხოვდნენ სამყაროს, რომ მონყალების დის მზრუნველობით სავსე თვალებიც აფრთხობთ, რადგან მათ სიკეთის რწმენა დაკარგეს („იისფერთვალებიანი მონყალების და“).

ხაზგასასმელია ის ფაქტიც, რომ ჯაჭუკონსტანტინე ჯორჯიკიას მინიატურებში დიდი ადგილი უკავია სიყვარულის თემატიკას. ხშირად ეს

ერთადერთი გრძნობაა, რომელიც ომში სასიკვდილოდ დაჭრილ ადამიანს სიცოცხლის უკანასკნელ წამებს უმსუბუქებს („ოცნება“).

დასკვნაში წარმოდგენილია ჯაჯუ ჯორჯიკიას შემოქმედების ძირითადი მახასიათებლები, ასევე, იმპრესიონისტული ტენდენციები ქართულ ლიტერატურაში. გარდა ამისა, გაანალიზებულია ჯაჯუ ჯორჯიკიას მინიატურების მრავალფეროვანი ხასიათი და ის იდეა, რომელიც ყველა ტექსტს გასდევს ერთ ხაზად.

ეპითეტი ტექსტსა და თარგმანში
(ჭიბრან ხალილ ჭიბრანის „იესო ძე კაცისას“
ქართული თარგმანის მიხედვით)

მარიამ ჯავახიშვილი

საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი

ხელმძღვანელი: დოქტორი

ნიხა ნოზაძე

საკვანძო სიტყვები: ეპითეტი, დედანი, თარგმანი

ჯიბრან ხალილ ჯიბრანი XX საუკუნის ერთ-ერთი ცნობილი მწერალი, პოეტი, ფილოსოფოსი, მისტიკოსი, მხატვარი და ჰუმანისტია. მის შემოქმედებას ინტერესით თარგმნიან და კითხულობენ მთელ მსოფლიოში. ჯიბრანი ორენოვანი მწერალია: წერდა არაბულ და ინგლისურ ენებზე. ქართულ ენაზე თარგმნილია ჯიბრანის რამდენიმე ნაწარმოები როგორც არაბულიდან, ისე – ინგლისურიდან.

„იესო, ძე კაცისა“ ზუსტად 85 წლის წინათ, 1928 წლის ნოემბერში, გამოქვეყნდა და სალიტერატურო კრიტიკამ „საუკუნის ლიტერატურულ ქმნილებად“ აღიარა. ნაწარმოების დასაწყისშივე გაცხადებულია რელიგიის არსი: ორი სამყარო – მიწიერი და ზეციური, მიწიერი მეუფება და სულიერი მეუფება; ორი ფასეულობა – წარმავალი და წარუვალა; ნუთისოფელი და ზეცის სასუფეველი განსაზღვრავს ყოველი მთხრობლის ზნეობრივ ორიენტირს, პიროვნულ ღირსებასა თუ უღირსობას, განაპირობებს პიროვნების დამოკიდებულებას იესოსადმი – კაცად განსხეულებული ღმერთისადმი და, ამდენად, – საკუთარი არსისადმი, ადამიანის ფენომენისადმი.

მთარგმნელისთვის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა მეტყველების უმნიშვნელოვანესი ელემენტის – ტროპის ადეკვატური თარგმანია. ტროპის სახეობებიდან გამოვყოფთ ეპითეტს და ნაშრომში სწორედ ამ უკანასკნელის შესახებ ვისაუბრებთ.

ტექსტში მოყვანილია მაგალითები, რომელთა საფუძველზე შესაძლებელია რამდენიმე დასკვნის გაკეთება: თარგმანი არაფრით ჩამოუვარდება დედანს და ქართველი მკითხველისთვის ძალიან ახლობელი, გასაგები და ემოციურადაც მარტივად აღსაქმელია; ასევე, სავსებით გამართლებულია მთარგმნელის არაზუსტი თარგმანებიც, რადგან აუცილებელი არაა თარგმანში ყველაფერი სიტყვასიტყვით იყოს გადატანილი, თუ ის სცილ-

დება კონტექსტს და მთარგმნელის მშობლიური ენისთვის დამახასიათებელ გრამატიკულ ნორმებს არ შეესაბამება, შესაბამისად, ვფიქრობთ, რომ გიგინეიშვილმა ყველა ეპითეტს მოუძებნა ზუსტი და კონტექსტის შესაბამისი (ამასთან, ქართული გრამატიკის წესების გათვალისწინებით) ეკვივალენტი, რაც ნამდვილად მისასალმებელია.

როგორც სხვადასხვა მკვლევარი აღნიშნავს, ნებისმიერი ჟანრობრივი სახის თარგმანი განხილულ უნდა იქნეს ფართო კონტექსტში. ასევე, მკვლევართა აზრით, თარგმანში სრულად და ზედმინევნით უნდა იყოს შენარჩუნებული ორიგინალის ინტონაცია და ზუსტად იყოს მოძებნილი ეკვივალენტები, რაც თარგმანის თვალსაზრისით საინტერესო ნიმუშებს იძლევა. ზემოხსენებული ასპექტები კი გიგინეიშვილის თარგმანში შესანიშნავადაა წარმოჩენილი.

ტელევიზიის ერთი ლექსის
ქართული თარგმანის გამო

ანანო მირზელაშვილი

საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი

ხელმძღვანელი: დოქტორი

ნიხა ნოზაძე

საკვანძო სიტყვები: ტელევიზიი, „ყვავი“, ზვიად რატიანი

ტედ ჰიუზი იყო ინგლისელი პოეტი და საბავშვო მწერალი. კრიტიკოსები მას თაობის ერთ-ერთ საუკეთესო პოეტად მიიჩნევენ. ტედ ჰიუზის ადრეული შემოქმედება მჭიდროდაა დაკავშირებული ბუნებასთან, განსაკუთრებით ცხოველებთან, რაც, თავის მხრივ, განპირობებულია მისი ბავშვობისდროინდელი ინტერესებით. ჰიუზის შემოქმედებაში ცხოველები გვევლინებიან როგორც მეტაფორები, პერსონები, ხატები. პოეტი ცხოველებს იყენებს როგორც მეტაფორას, რათა ცხოვრების შესახებ თავისი აზრი გამოხატოს.

„ყვავი“ ალბათ, ყველაზე ცნობილი სახეამის შემოქმედებაში. ტედ ჰიუზი წარმოგვიდგენს ყვავს, როგორც ღმერთის, ფრინველისა და ადამიანის კრებით სახეს, რაც მისთვის მეტად მნიშვნელოვანია სიკეთისა და ბოროტების შესაცნობად.

მიუხედავად ცხოვრების სირთულეებისა, ჰიუზი უამრავი ახალი იდეით იყო სავსე. მან თავის თავში იპოვა ძალა, რომ სილვია პლათის თვითმკვლელობას ჩასწვდომოდა და ცნობილი პოეტური ციკლის – „ყვავის“ („ყვავის ცხოვრება და სიმღერები“) წერა დაიწყო. მართალია, ციკლი „ყვავის“ დაწერის ისტორია მიემართება სილვიას თვითმკვლელობასა და ამ თვითმკვლელობის მიზეზების ძიებას, მაგრამ ჰიუზმა დასრულებული ციკლი ასია ვევილსა და მათ ქალიშვილ შურას მიუძღვნა.

ტედ ჰიუზის „ყვავი“ ინგლისურიდან თარგმნა ქართველმა პოეტმა, მთარგმნელმა, ლიტერატურული პრემია „საბას“ ლაურეატმა – ზვიად რატიანმა. ციკლიდან „ყვავი“ მოგვეპოვება დალილა გოგიას თარგმანებიც, თუმცა ამჯერად ნაშრომში წარმოდგენილია ორიგინალისა და ზვიად რატიანისეული თარგმანის შეპირისპირებითი ანალიზი.

როგორც თანამედროვე პერიოდის ლექსებს, „ყვავის“ ციკლის ლექსებს არ აქვთ რაიმე კონკრეტული სტრუქტურა (თავი-

სუფალი ლექსი). ზოგიერთი სტრიქონი უკიდურესად მოკლეა, მათში მხოლოდ რამდენიმე მარცვალაა, ხოლო რიგი სტრიქონები შედარებით გრძელია. ლექსის მეტრიკული კომპოზიცია ასევე არარეგულარულია, რაც თანამედროვე ლექსების ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელია.

სიტყვათა წყობა, შინაარსობრივი სიზუსტე გვაძლევს საშუალებას, ვთქვათ, რომ ზვიად რატიანმა აღნიშნული ლექსი შესანიშნავად თარგმნა. არ დაუკარგა მას პირვანდელი სახე, ბოლომდე შეუნარჩუნა ის ინდივიდუალიზმი, რომელიც ორიგინალს გააჩნია.

ზეპირი თარგმანის ზოგიერთი
სირთულის შესახებ

ნინო ანთაძე

მაგისტრანტი

ხელმძღვანელი: ასოციირებული პროფესორი

ნინო წეხეთელი

საკვანძო სიტყვები: ზეპირი თარგმანი, მთარგმნელი,
კომპეტენცია

მთარგმნელობითმა საქმიანობამ უდიდესი როლი შეასრულა და ასრულებს ერების კულტურულ განვითარებაში. როგორც ჰანს ერის ნოსაკი თავის ერთ-ერთ გამოსვლაში აღნიშნავს: „თარგმანი ერთგვარი მიწისქვეშა რადიოსადგურია, რომელსაც კაცობრიობის წარმომადგენლები მთელი მსოფლიოს მასშტაბით იყენებენ, რათა გაგზავნონ ინფორმაცია“. მთარგმნელებს ძალიან რთული მისია აკისრიათ. მათ უნდა შეძლონ უცხოური ტექსტის სხვა ენაზე გადატანა ისე, რომ შეინარჩუნონ არა მხოლოდ ტექსტის შინაარსი, არამედ მისი ემოციაც.

ზეპირი თარგმანი განსაკუთრებული სპეციფიკით გამოირჩევა. ირინა ალექსეევა თავის ნაშრომში, „შესავალი თარგმანმცოდნეობაში“, აყალიბებს მთარგმნელის მორალურ პრინციპებს. ჩვენთვის საინტერესო აღმოჩნდა ზეპირ თარგმანთან დაკავშირებული ზოგიერთი პრინციპი, მაგ.: „თარგმანის პროცესში მთარგმნელმა უნდა დაიცვას ზეპირი ურთიერთობის ეთიკა, განსაკუთრებით, საერთაშორისო კონტაქტების გარემოში; მთარგმნელი ვალდებულია, მისთვის ცნობილი ყველა საშუალებით უზრუნველყოს მაღალი კომპეტენტურობა თარგმანში, თარგმნის ტექნიკის უზრუნველყოფითა და ტექსტის თემატიკის გათვალისწინებით“.

სრულფასოვანი ზეპირი თარგმანის შესასრულებლად მთარგმნელისთვის აუცილებელია, რომ ის იყოს კომპეტენტური, რაც, ბუნებრივია, გულისხმობს სხვადასხვა კომპეტენციას. შესაბამის ლინგვისტურ მომზადებასთან ერთად, ზეპირი მთარგმნელისთვის აუცილებელია კარგად გავარჯიშებული მეხსიერება და შესაბამისი ტერმინოლოგიის საფუძვლიანად ფლობა. ზეპირმა მთარგმნელმა სხვადასხვა სიტუაციაში უნდა შეძლოს მთარგმნელობითი ტრანსფორმაციის სწორად გამოყენება მაღალი ხარისხის მქონე თარგმანის შესასრულებლად.

სარჩევი

5 დეკემბერი

თეკლა კაპანაძე	3
მეცხრამეტე საუკუნის გერმანელ სწავლულთა მოგზაურობა კავკასიაში – თარგმანი და თარგმანის ანალიზი	
ირინა ნოზაძე	7
ევგენი ზამიატინის რომანის „ჩვენ“ იდეურ-მხატვრული ასპექტები	
მერი სამაკაშვილი	11
ალენ გინზბერგის ლექსის „სუპერმარკეტი კალიფორნიაში“ ქართული თარგმანის ანალიზი	
ნიკოლოზ შაფაქიძე	15
„თვალს ამოგჩიჩენი“ – ანუ უოლტ უიტმენის თავისუფალი სუნთქვა	
ნინა ზიგერი	17
მითიური პერსონაჟების სახელების თარგმნის სპეციფიკა ნართების ეპოსში	
მეგი კაზეიშვილი	19
ეკვივალენტობის პრობლემა ემილი დიკინსონის ლექსის – „რადგან მე სიკვდილს არ დავუცადე“ – ქართულ თარგმანში	
თაკო ნასარაია	21
სილვია პლათის ლექსის „ცხვარი ნისლში“ ორიგინალისა და თარგმანის შეპირისპირებითი ანალიზი	

6 დეკემბერი

მარიამ გიორგაძე	25
ირაკლი ჩარკვიანის რომანი – „მშვიდი ცურვა“, როგორც ავტოფიქციური ნარატივი	
სოფიკო გიორგაძე	29
„რეაქტიული კლუბის“ პოეზია	
ნინო შიომღვიმელი	31
„ჯინსების თაობა“	
სოფიკო შავლაძე	33
ფრონტის ხაზზე მყოფი ადამიანის ტრაგედია ჯაჯუ ჯორჯიკიას მოთხრობების მიხედვით	
მარიამ ჯავახიშვილი	37
ეპითეტი ტექსტსა და თარგმანში (ჯიბრან ხალილ ჯიბრანის „იესო ძე კაცისას“ ქართული თარგმანის მიხედვით)	
ანანო მირზელაშვილი	41
ტედ ჰიუზის ერთი ლექსის ქართული თარგმანის გამო	
ნინო ანთაძე	45
ზეპირი თარგმანის ზოგიერთი სირთულის შესახებ	

გამოცემაზე მუშაობდნენ:

ნინო ვაჩეიშვილი

ნინო ებრაღიძე

